პედაგოგიკა Pedagogic

ალმანახი „ცდა“ XIX საუკუნის ბოლოს ქართული პედაგოგიური აზრისა და ეროვნული განათლების კონტექსტში

მაია ახვლედიანი, იმერი ბასილაძე, სოფიო მორალიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
e-mail: maia.akhvlediani@atsu.edu.ge
imer.basiladze@atsu.edu.ge
sophio.moralishvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.18
SJIF 2026: 8.6798

სტატიაში განხილულია ალმანახ „ცდის“ ისტორიულ-პედაგოგიური მნიშვნელობა XIX საუკუნის ბოლოს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. მიზნად დავისახეთ ალმანახში გამოქვეყნებული მასალების საფუძველზე ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგთა წვლილის წარმოჩენა ქართული პედაგოგიური აზრის განვითარებაში. სტატიაში გაანალიზებულია ალმანახში 1889-1891 წლებში გამოქვეყნებული ისტორიული, ლიტერატურული, პედაგოგიური და მთარგმნელობითი მასალები. მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვკვეთოთ ალმანახის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი დანიშნულება, დავინახოთ, როგორ უკავშირდებოდა საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული კულტურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას. კვლევა აჩვენებს, რომ ალმანახი „ცდა“ განათლებას განიხილავდა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ ეროვნული თვითშეგნების, ისტორიული მეხსიერების, ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან საფუძვლად. ამდენად ალმანახი წარმოადგენს კარგ ისტორიულ-პედაგოგიურ წყაროს XIX საუკუნის მიწურულის ქართული განათლებისა და პედაგოგიური აზრის შესასწავლად.

საკვანძო სიტყვები: ალმანახი „ცდა“, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლა

აქტუალობა და პრობლემის დასმა

XIX საუკუნის II ნახევარი ქართული ეროვნული განათლების განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობის პერიოდია. რუსეთის იმპერიის მმართველობის პირობებში ქართული სკოლა და მასწავლებელი იქცა არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ ეროვნული თვითშეგნების, კულტურული მეხსიერებისა და მოქალაქეობრივი ღირებულებების დაცვის მნიშვნელოვან ინსტიტუციად. ამ პროცესში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქუთაისის

სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგებმა, რომელთა მრავალმხრივმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული განათლებისა და ეროვნული პედაგოგიკური აზრის განვითარებაში.

ამ ისტორიულ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ალმანახი „ცდა“, რომელიც 1889-1891 წლებში გამოიცა და ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგთა საგანმანათლებლო კულტურულ, საზოგადოებრივ ინტერესებს და საქმიანობას ასახავს. ალმანახში გამოქვეყნებული ისტორიული, ლიტერატურული და პედაგოგიური მასალები წარმოაჩენს ავტორთა პროფესიულ შეხედულებებს, ეროვნულ იდეალებსა და აღმზრდელობით პრინციპებს. ამდენად, „ცდა“ მხოლოდ ლიტერატურუ-ლი კრებული არ არის, იგი XIX საუკუნის მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა. მიუხედავად ამისა, ალმანახის შინაარსის ისტორიულ-პედაგოგიური ანალიზი სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არა არის წარმოდგენილი, რაც მის მიზანმიმართულ შესწავლას საჭიროებს.

კვლევის მიზანია ალმანახი „ცდის“ ისტორიულ-პედაგოგიური ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდეს ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგთა წვლილი ეროვნული პედაგოგიკური აზრის განვითარებაში, მათი საგანმანათლებლო შეხედულებები და ის აღმზრდელობითი პრინციპები, რომლებიც ალმანახის პუბლიკაციებში აისახა.

კვლევის ამოცანები

- ალმანახი „ცდის“ გამოცემის ისტორიული კონტექსტის დადგენა;
- კრებულში გამოქვეყნებული მასალების თემატური, ისტორიულ-პედაგოგიური ანალიზი და მათში ასახული საგანმანათლებლო, ეროვნული და საზოგადოებრივი იდეების გამოვლენა და შეფასება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-პედაგოგიურ მიდგომას. გამოყენებულია წყაროთმცოდნეობითი ანალიზი და თემატური კონტენტ-ანალიზი, რომელთა საშუალებითაც შესწავლილია ალმანახ „ცდაში“ გამოქვეყნებული ისტორიული ლიტერატურული და პედაგოგიური მასალები, მათი შინაარსი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო ალ. გარსევანიშვილის მიერ ქართული ლიტერატურის მოყვარულთა წრის დაარსება. წრის საქმიანობა, მხოლოდ ლიტერატურის ინტერესებით არ შემოიფარ-გლებოდა. იგი ქართული სიტყვისა და ისტორიის შესწავლას, ეროვნული ცნობიერების გაძლიერებასა და საზოგადოებაში საგანმანათლებლო ინტერესის გავრცელებას ემსახურებოდა. სწორედ ამ საქმიანობის საფუძველზე 1889 წელს გამოიცა ალმანახის „ცდა“ პირველი კრებული, რომელიც შემდგომ სამ წიგნად გამოიცა (1889-1891). წრის საქმიანობისადმი პოლიციის ყურადღება კი იმდროინდელ პოლიტიკურ გარემოში ეროვ-ნული საგანმანათლებლო ინიციატივების განხორციელების სირთულეზე მიუთითებდა. ამგვარად, პედაგოგთა ინიციატივამ სასკოლო სივრციდან საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობაში გადაინაცვლა.

გამოცემის ისტორია

ალმანახის გამოშვების მთელი სიმძიმე ქართული სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა იტვირთა. მისი ავტორები იყვნენ პედაგოგები: ს. ხუნდაძე, ს. ყიფიანი, ბ. ნიჟარაძე, თ. მთავრიშვილი, ს. დათეშიძე, პ. კვიცარიძე, ბ. კვიცარიძე, დ. კარიჭაშვილი, ბ. ვოლსკი და სხვები. რუსული კოლონიალურ რეჟიმში ერთგვარ გაბედულებასთან იყო დაკავშირებული თანამშრომლობა ისეთ ეროვნული ხასიათის კრებულში, რომელმაც განიზრახა წარსულის ნათელი და საამაყო ეპიზოდების მხატვრულ-ლიტერატურული წარმოჩენა. ამასთანავე არსებული ვითარების ნაკლოვანებების კრიტიკული გააზრება და მომავლის პერსპექტივაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი აქტიურობის წახალისება. კრებულის გამოცემამ დიდი რეზონანსი მოიტანა, ამიტომ პედაგოგების გარდა, ალმანახის საქმიანობაში ჩაერთვნენ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც მამია გურიელი, გიორგი წერეთელი, ეფრო კლდიაშვილი. საყურადღებოა ისიც, რომ გიორგი წერეთელმა მისი „პირველი ნაბიჯი“ პირველად „ცდის “ III წიგნში გამოაქვეყნა 1891 წელს. (ზოგ წყაროში „პირველი ნაბიჯი“ მოხსენიებულია „ქუთათურ კრებულში“ დაბეჭდილ რომანად, იგულისხმება ალმანახი „ცდა“. (მ.ა.)

ეროვნული ცნობიერება და ისტორიული მასალები კრებულში

კრებული „ცდის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ისტორიისა და ეროვნული წარსულის წარმოჩენა. ალმანახში მოცემული საქართველოს გმირული წარსულის ამსახველი მასალა მკითხველში, ერთგვარ სიამაყის გრძნობას აღვივებს და აწმყოს პრობლემებზეც აფიქრებს. ამ მხრივ ყურადსაღებია პედაგოგ ალ. გარსევანიშვილის ისტორიული მონოგრაფია „ერეკლე მეორე, როგორც სარდალი“ (ცდა, 1889, წიგნი I, გვ.1-46).

ნარკვევს საინტერესოს ხდის ამომწურავი პასუხი კითხვებზე: სად შეისწავლა პატარა კახმა სამხედრო ხელოვნება, როგორ განვითარდა მისი რაინდული ნიჭი, როდის, ევროპისა და აზიის რომელ ქვეყნებში სცადა მისი შესაძლებლობების გამოვლენა? ნაშრომში მოცემულია ერეკლეს არა ერთი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავგანწირვა მამულისა და სჯულის დასაცავად, მეფე-მებრძოლისათვის დამახასიათებელი თვისებები: გამბედაობა, შეუპოვრობა, გულწრფელობა, საკუთარი სიცოცხლის დაუზოგაობა, სხვისი ღირსების თაყვანისცემა, რაც ნათელს ხდის ერეკლე მეფის რაინდულ საიდუმლოებას, რომელიც ბრძოლის ველზე, მძიმე წუთებში მებრძოლებს აღანთებდა ქვეყნისათვის თავგანწირვისათვის.

ალექსანდრე გარსევანიშვილის ნარკვევის ისტორიულ-პედაგოგიური მნიშვნელობა ისაა, რომ ერეკლე მეორის პიროვნებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წარმოჩენით ავტორი ისტორიულ თხრობას ზნეობრივი და პატრიოტული აღზრდის მი-ზანს უკავშირებს. ერეკლე მეფე წარმოდგენილია სამშობლოსადმი ერთგულების, გამბე-დაობისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაგალითად. ამგვარად, ისტორიული მასალა არა მხოლოდ წარსულის შესახებ ცოდნას ავრცელებს, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და პიროვნული ღირსებების ჩამოყალიბებასაც ემსახურება.

ისტორიული წარსულის გააზრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია კრებულის 1891 წლის N3-ში გამოქვეყნებულია დავით კარიჭაშვილის ისტორიული წერილი „როსტომ მეფე“(ცდა, 1891, წიგნი III, გვ.157-195).

ავტორი თანმიმდევრულად, დოკუმენტებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რა მძიმე მდგომარეობას ქმნიდა საქართველოში შიდა აშლილობა და ურთიერთუნდობლობა. წერილში მოწონებულია როსტომ მეფის პოლიტიკა, მისი ხასიათი და მიმართულება.

შაჰ-აბას პირველის არაერთგზის შემოსევამ ააოხრა და დააუძლურა ქართლ-კახეთი. ურთიერთდაპირისპირებით მეტად სუსტდებოდა ქვეყანა. მშვიდობიანი ცხოვრება სურდა ხალხს, დაკარგული ძალების აღორძინებაზე ოცნებობდა, რასაც ვერ მიაღწევდა სპარსეთის ე. ი. უცხო ძალის გარეშე. როსტომ მეფის პირადი თვისებები და ურთიერთობანი ყაენთან დიდ სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას, მაგრამ მხოლოდ პირადით დაინტერესებული ერისთავები და კახეთის მეფე თეიმურაზი, რომელსაც რუსული ორიენტაცია ჰქონდა, არ იძლეოდნენ საქვეყნო საქმეთა მშვიდობიანად მოგვარების საშუალებას.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია როსტომის მოღვაწეობის კულტურულ-რელი-გიური ასპექტიც. მიუხედავად გამაჰმადიანებისა, მეფე ქრისტიანულ ეკლესიებს მფარ-ველობს. მას უკავშირდება ახალქალაქის აღმშენებლობა, სიონის, სვეტიცხოველის, ალავერდისა და ურბნისის საყდრების შეკეთება.მისი მმართველობის პერიოდში სპარსული კულტურისა და განათლების გავრცელებაც ხდებოდა: ხოსრო თურმანიძის მიერ ითარგმნა ფირდოუსის „შაჰნამე“ და ფარსადან-გორგიჯანიძის მიერ - წიგნი „ყურანი“.

აღნიშნული მაგალითები აჩვენებს, რომ როსტომ მეფის მოღვაწეობის შეფასებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ვი-თარებაზე. ისტორიული ფიგურა წარმოდგენილია არა მხოლოდ პოლიტიკური საქმი-ანობის, არამედ კულტურული თანაარსებობის, ურთიერთ შემწყნარებლობისა და ქვეყ-ნის საერთო ინტერესების კონტექსტში.

ისტორიული წარსულს ადიდებს გ. წერეთლის მიერ სვანურიდან გადმოკეთებული „სიმღერა“ (ცდა, 1890, წიგნი II, გვ.12), სადაც დიდი თამარის ერთ-ერთი იმედიანი ლაშქ-რობის სურათს წარმოგვიდგენს. ტექსტში თამარ მეფის მეომრული სახე და ისტორიული გამარჯვების მოტივი ეროვნული ერთიანობასა და სამშობლოს დაცვა უკავშირდება.

ალმანახის ისტორიულ ტექსტებში წარსული წარმოდგენილია არა მხოლოდ ისტორიული ცოდნის წყაროდ, არამედ ეროვნული თვითშეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ფორმირების საშუალებად. ამასთან, პუბლიკაციებში ნაკლებად იკვეთება სოციალური კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი წინააღმდეგობების სიღრმისეული ანალიზი, რაც ალმანახის ისტორიული ხედვის ერთ-ერთ თავისებურებად შეიძლება მივიჩნიოთ.

კრიტიკა კრებულის ფურცლებზე და მისი პოზიცია

რეაქციის პირობებში, მეფის რუსეთის ცენზურის ბატონობისას, როცა თვით ილიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს უჭირეკდნენ შედევრებს, ეროვნული პრობლემატიკის გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ კრებულში გამოქვეყნებული პედაგოგ სილოვან ხუნდაძის უსათაურო ლექსი „პოეტის გოდება“. პოეტი სათაყვანო ერის შვილებს

ჩაგრულად, დამონებულად და გადაგვარებულად წარმოგვი-დგენს. ჩივილი წარსულშია გადატანილი და თითქოს ერეკლე მეფის ეპოქას ეხება, თუმცა რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული ქართველის სახე იმდენად ნათლად იკვეთება, რომ მკითხველისთვის ლექსის რეალური ადრესატი ადვილად ამოსაცნობი ყოფილიყო.

პოეტი ხედავს, როგორ დაივიწყა ქართველმა გმირული წარსული, სულით დაეცა და დადუმდა, წაერთვა წინააღმდეგობის ძალა. ძლივს გამოჩნდა ერთი ხანდაზმული გმირი, რომელმაც ხმა აღიმაღლა მტრის წინააღმდეგ. მხცოვან გმირს არავინ ამოუდგა გვერდით. ჩვენი აზრით, მხცოვან მამულიშვილში ნაგულისხმევია, დიმიტრი ყიფიანი, რომელიც 1887 წლის 24 ოქტომბერს გამოასალმეს სიცოცხლეს. ლექსის დაწერის თარიღად 1886 წლის დეკემბერის მითითება შესაძლოა, რეალური ადრესატის დაფარვის მცდელობას უკავშირდებოდეს (მ.ა.).

გმირის თანამედროვეებმა წარსულის შეუპოვრობა და სიმამაცე დაივიწყეს, შეურაცხმყოფლებს პასუხი არ გასცეს. ამიტომ ავტორი თანამემამულეებს მკაცრად მიმართავს: „ხართ სხვისი ჭური-გუდები, არ გეფიცებათ ულვაში, აღარ გახურავთ ქუდები“ (ცდა, 1890, წიგნი II, გვ.152).

პოეტი ვერ ურიგდება მორჩილებას და უმოქმედობას. მისი აზრით, ერის სულიერი მიძინება ამლიერებს მასზე ზემოქმედების ძალას. იგი აკრიტიკებს ქართველის გულგრი-ლობას, პირად კეთილდღეობაზე ორიენტაციას, სამშობლოს სამსახურის ნაცვლად საკუთარი თავის გადარჩენის არჩევას, სინდისისა და ღირსების დაკარგვას. ამგვარი ყოფის კრიტიკით პოეტი ერის შვილებს მოქმედებისა და გააქტიურებისაკენ მოუწოდებს.

პედაგოგი სილოვან ხუნდაძე მისი პედაგოგიური, საზოგადოებრივი და სამეურნეო საქმია-ნობით კარგად იხდიდა მამულიშვილურ ვალს ერის წინაშე, ამავე დროს გაბედული ლირიკული ნაწარმოებებით ეროვნული სული შეჰქონდა, იმედს უღვივებდა მკითხველს. „ცდის“ 1890 წლის II კრებულში გამოქვეყნებული მისი ლექსი (უსათაურო) (ცდა,1890,წიგნი II, გვ. 178). ეროვნული ტკივილებით დამძიმებული ხალხის ჩივილს გამოხატავს. დასტირის ქართული ტაძრებისა და მშობლიური მიწის განადგურებას, ქვეყნის ისტორიისა და თვითმყოფადობის დავიწყების საფრთხეს, თუმცა იმედს არ კარგავს: „არ წაიშლება აღბეჭდილი ღვთისგან სახელი“. ლექსის დასასრულიც სწორედ ამ მორალურ პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს:

„ქვეყნის ორგულნო! / მომავალი თქვენს ხელთ არ არი, შორს ჩვენგან! /ანკი ამას შემდეგ რა გაქვს საერთო?! /თავის ხელითვე გაითხარეს იმათ სამარი... / არა იციან, რას შვრებიან: შეუნდე ღმერთო“.

ლექსი ცხადყოფს, რომ მხოლოდ ისტორიული წარსულის წარმოჩენით არ შემოიფარგლებოდა და თანამედროვეობის კრიტიკაც ისახებოდა. ეროვნული ტკივილისა და საზოგადოებრივი გულგრილობის მხილება ხშირად ირიბი, მხატვრული ფორმით გამოიხატებოდა, რაც იმდროინდელი ცენზურის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა.

ეროვნული თვითშეგნების ფორმირებას „ცდა“ მხოლოდ ისტორიული გმირებისა და მოვლენების წარმოჩენით არ ცდილობდა. კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხალხურ კულტურას, ეთნოგრაფიულ მასალასა და საქართველოს კუთხეთა წარმოჩენას.

სილოვან ხუნდაძის ლექსების ისტორიულ-პედაგოგიური მნიშვნელობა მათში გამოხატულ ზნეობრივ და მოქალაქეობრივ პოზიციაში ვლინდება, წარსულის გმირობისა და თანამედროვეთა უმოქმედობის დაპირისპირებით პოეტი მკითხველს სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებისკენ უბიძგებს. ამგვარად ლექსები ზნეობრივი თვითშეფასებისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას ემსახურება არა პირდაპირი დარიგებით, არამედ ემოციური ზემოქმედებითა და მკითხველის განსჯის გააქტიურებით.

მიუხედავად იმისა, რომ კრებული შუაგულ იმერეთში, ქუთაისში გამოდიოდა, მასში შეუმცდარად ქართული საზოგადოებრივი აზრი ირეკლებოდა. ერთნაირი სიყვარულით იწერებოდა წერილები და მხატვრული ქმნილებები შორეული სვანეთიდან ბარად ჩამოსულ ვაჟკაცებზე, თბილ და სტუმართმოყვარე იმერლებზე, ენაკვიმატ გურულებზე, დინჯ რაჭველებზე. ყველა კუთხისათვის დამახასიათებელი თვისებები კრებულში ეთნოგრაფიული სიზუსტითაა გადმოცემული. კრებულის ავტორები ხედავ-დნენ, რომ ურთიერთპატივისცემა და სიყვარული გადაარჩენდა ერს, მის მთლიანობას.

არც ხალხური სიბრძნის მიმართ იყო ალმანახი გულგრილი. თითქმის ყველა ნომერშია წარმოდგენილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები. საყურადღებოა პედაგოგ ს. დათეშიძის მიერ თანამედროვე ჟღერადობის დაწერილი ლექსი, რომელიც შევიდა „ცდის“ 1890 წლის II წიგნში „ჟღელეს ჩამოდგა ოსი და მდვალი“. რაჭის საზღვარზე ჟღელეს ხეობას მიადგა ოსი და მდვალი, ომი გაჩაღდა, გამთენიის ხანს შეიქნა ხმლის ქნევა და შუბის ძგერება, სისხლში აცურდა ორპირი ხმლები. მტერმა მომხდურმა ზურგი აქცია ქართველ მებრძოლებს, მაგრამ მას ცოცხალს არ უშვებენ, ის ვერ მიუტანს ცოლს ლაშქრის ამბავს და ნადავლს. ქართველთა ლაშქრის მეომრები კი თავდამსხმელებზე გამარჯვებულები შინ მშვიდობით ბრუნდებიან. დამარცხდა ხარბი თავდამსხმელი.

პედაგოგიური და საგანმანათლებლო საკითხები

კრებულის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ზნეობრივი აღზრდა. „ცდის“ მხატვრულ ტესტებში წამოჭრილია სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, პასუხისმგებლობისა და პირადი ინტერესის დაპირისპირება.

დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) მოთხრობა „დედა და შვილი“, რომელიც გამოქვეყნდა, ცდის 1891 წლის III წიგნში, ასახავს უსამართლობისა და განუკითხაობის მსხვერპლად მიტანილი ღარიბი ახალგაზრდის ბედს. ნაწარმოები ამხელს სოციალურ უთანასწორობას, ძალადობას და სამართლის უსამართლოდ აღსრულებას. მკითხველი თანაუგრძნობს უსამართლობის მსხვერპლს და ჰგმობს ძალაუფლების თვითნებობას.

ბოროტებამ არ უნდა იზეიმოს! - ესაა კრებულის ავტორთა დევიზი. ამავე იდეის მატარებელია სილოვანის მოთხრობა „მეზობლები“, გამოქვეყნებულია - ცდის 1890 წლის II წიგნში. მოთხრობაში დამაჯერებლადაა გადმოცემული ბოროტებისა და სიკეთის ჭიდილი. ავტორის აზრით კეთილი უძლეველია.

ამავე ზნეობრივი და ეროვნულ იდეალს აგრძელებს ფაზელის (მამია გურიელი) უსათაურო ლექსი, რომელიც სატრფოსთან გაბაასების სტილშია მოცემული. ლექსი თავდადებისაკენ მოუწოდებს ერის შვილებს. მომავლის იმედით აღვსილი სატრფო იმედგაცრუებულ „ბედით შავ“ პო-

ეტს ანუგეშებს: იშრომოს, შეიძლება იგი მსხვერპლად შეეწიროს მიზანს, და-ძმებით გარშემორტყმული, მაგრამ ნუ იდარდებს, ერი არ დაივიწყებს, გააღმერთებს მას, ამით უკვდავყოფს მის სახელს. ლექსის შინაარსი გვკარნახობს, რომ აუცილებელია ყველამ თავისი საქმე აკეთოს. პოეტი სიმართლის გამომზეურებით ეზიარება უკვდავებას.

ალმანახი ყურადღებას უთმობდა სასკოლო განათლებას და თარგმანებს. „ცდის“ პუბლიკაციებში განსაკუთრებულ ინტერესი იწვევს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერები-სადმი, პრაქტიკოს პედაგოგთა საქმიანობისადმი და სასკოლო ცხოვრებისადმი მიძღვნილი გამოქვეყნებები. როგორც აღინიშნა, კრებულის ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლის (1905 წლიდან გიმნაზიის) პედაგოგი იყო. მათი სამსახურებრივი და მოქალაქეობრივი მოწოდება ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საკითხებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ბუნებრივია, კრებულის დაინტერესება პედაგოგიკით და სასკოლო ცხოვრებით.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგის თომა მთავრიშვილის მიერ თარგმნილი „პესტალოცის ცხოვრება“, რომელიც გამოქვეყნდა კრებულ „ცდის“ პირველ ტომში (1889). თარგმანი მკაფიოდ წარმოაჩენს პესტალოცის ცხოვრებისეულ გზას. მის ჰუმანისტურ იდეალებსა და პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული საზოგადოების ინტერესებისათვის პირადი მსხვერპლის გაღების, სწავლებისა და აღზრდის მისეული ორიგინალური მეთოდების შედეგები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლებისა და აღზრდის ორიგინალურ მეთოდებს და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების იდეას.

პუბლიკაციის მნიშვნელობა მხოლოდ ბიოგრაფიული ინფორმაციის მიწოდებით არ შემოიფარგლებოდა. იგი მკითხველს აცნობდა პედაგოგიურ იდეებს, პიროვნების ჰარმო-ნიული განვითარების პრინციპებს და სწავლებისა და აღზრდის ურთიერთკავშირს. ამგვარად უცხოელი პედაგოგის გამოცდილების გაცნობა ალმანახის საგანმანათლებლო მიმართულების გაღრმავებას ემსახურებოდა.

თუ „პესტალოცის ცხოვრება“ პედაგოგიური იდეალის წარმოჩენას ემსახურება, „სკოლა და ცხოვრება“ უკვე ქართული სკოლის რეალურ მდგომარეობას აკრიტიკებს. ცდის 1891 წლის III წიგნში გამოქვეყნებული წერილი „სკოლა და ცხოვრება“ ავტორი ნარი (ნოე ჟორდანია). გასული საუკუნის 80-90-იანი წლების სახალხო განათლების შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა. ავტორს აღწერილი აქვს, როგორი სიხარული და რა დონის ტკივილი მოყვა სოფლად სკოლის გახსნას. მოცემულ შემთხვევაში სამმა სოფელმა ერთი სკოლა დააარსა. სკოლის შესანახ ფულს სოფლის მოსახლეობა იხდის (50-60 კაპიკი კომლზე) სკოლაში ჩარიცხვის 300 მსურველია, სკოლა კი 60 ბავშვზეა გაანგარიშებული, ისიც, მხოლოდ ვაჟებზე. გოგონები თავიდანვე განწირულნი არიან, ვერ მიიღებენ განათლებას. კენჭისყრით ხდება მოსწავლეთა შერჩევა. სკოლაში ჩარიცხვის 5 მსურველიდან მხოლოდ 1-ის დაკმაყოფილებაა შესაძლებელი, 4 დანარჩენი იმედგაცრუებული უბრუნდება კერას.

მაგრამ, გავა დრო და თანდათან აშკარა ხდება, რა მოაქვს სკოლას, მუნჯურ მეთოდს. განიათესებიან მოსწავლეები, რაც სწავლების დაბალი დონითაა ავტორისაგან ახსნილი. სკოლის დამთავრების შემდეგ ბავშვები ვერ ახერხებენ ხელთნაწერის ამოკითხვას, აზრის ქაღალდზე გადატანას. სკოლათა გაუმართლებელი დაპროგრამება, სწავლების მიუღებელი მეთოდები, მასწავლებელთა მოუმზადებლობა ტანჯავს მოზარდსაც და მის მშობლებსაც, ამიტომაა განთესვის შემთხვევები. მშობელთა უმრავლესობა ამჯობინებს კერძო პირს - მღვდელს ან მედუქნეს - მიაბაროს შვილი, იქნებ რაიმე შეასწავლოს.

სწავლა-განათლების მოწყურებულმა ქართველმა ხალხმა ცოდნით დაპურება მოიწადინა. შიმშილის ძალა შეიძინა განათლების მიღების სურვილმა, მაგრამ რუსულ ყაიდაზე მოწყობილ სკოლებში უჭირთ ცოდნის შეძენა მოზარდებს. პირად დაკვირვებაზე დაყრდნობით ასკვნის წერილის ავტორი: „შესაძლოა ჭკვიანმაც დაგიწუნოს სუფრა, კუჭიც რომ შიმშილით უხმებოდეს, თუ რომ თქვენ ჩახოხბილ-ჩასაცივებულ ქათამ-ინდაურის მაგივრად მოხრაკულ ბაყაყს და მჭავიან ლოკოკინებს მიართმევთ, რომელთაც ჩვენი ხალხი, რაც უნდა შიოდეს, არ გეახლება“. დედააზრი ადვილი ასახსნელია. ქართველისათვის შეუსაბამო იყო იმ დროის სასკოლო პროგრამები და სწავლების მეთოდები.

ეროვნული ტკივილებით დამძიმებულ ქართულ პედაგოგებს არ შეიძლებოდა მთელი არსებით არ ეგრძნოთ ეს და მკაცრი ცენზურის პირობებშიც არ გამოეხატათ მათი აზრი სწავლა-განათლების მახინჯ მხარეებზე.“ რიგიანი პროგრამა და რიგიანი აღსრულება მისი. აი სკოლის ქვაკუთხედი“ („ცდა“, 1891 წიგნი III), ასე ფიქრობს წერილის ავტორი და გაბედულ მიმართულებას აძლევს მკითხველს, რომ ერის ნათელი მომავლისთვის ეროვნული ნიადაგი, მშობლიური ენა, ეროვნული ტრადიციებია საიმედო საყრდენი და არა გადამთიელთაგან თავს მოხვეული მიზანდასახულებანი.

წერილის „სკოლა და ცხოვრება“ ისტორიულ-პედაგოგიური ღირებულება იმაშია რომ იგი სასკოლო განათლების პრობლემებს მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობების, სწავლების ხარისხისა და განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით წარმოაჩენს. საყურადღებოა წინააღმდეგობა მოსახლეობის განათლების სურვილსა და სასკოლო სის-ტემის შეზღუდულ შესაძლებლობებს შორის. ამგვარად, ავტორი ხაზს უსვამ, რომ სრულ-ფასოვანი განათლება მოითხოვს არა მხოლოდ სკოლის არსებობას, არამედ სწავლების სათანადო შინაარსს, მეთოდებსა და ეროვნულ საჭიროებებთან მას შესაბამისობას.

ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ ს. ხუნდაძის ლექსი, „ქალი“ რომელიც გამოქვეყნდა „ცდის“ 1890 წლის II წიგნში. ლექსში ქალი წარმოდგენილია ოჯახის სიმტ-კიცის საფუძვლად, ხოლო მისი უმთავრესი მოვალეობა შვილების ღირსეულად აღზრდას უკავშირებს. ამ აზრს გამოხატავს სტრიქონებიც: „ შვილების აღზრდით აწმყოს ახარებს, მყოფადს აშენებს“. ამგვარად ავტორი აღზრდას ქვეყნის მომავლის შენებას უკავშირებს. ეს ხედვა ავსებს ალმანახში განხილულ სასკოლო განათლების პრობლემებს: წარმოჩენილია აღზრდის იდეალი და - არსებული საგანმანათლებლო რეალობის კრიტიკა. ამ კონტექსტში ნათლად იკვეთება ალმანახის პედაგოგიური პოზიცია.

კრებულის 1889 წლის I კრებულში საინტერესო მასალაა „ქართული ალექსანდრიანის“ შექმნის შესახებ. ავტორი პეტრე კვიცარიძე ისტორიულ ასპექტში განიხილავს „ალექსანდრეს რომანის“ ქართული ვარიანტების შექმნის საფუძვლებს, იგი შედარებულია ევროპულ და აზიურ ვარიანტებთან. წარმოდგენილია ქართველი ავტორის ვინაობა, მითითებულია შემონახულ ხელ-ნაწერთა ადგილსამყოფელი წერილი შთააგონებლად გვაუწყებს, თუ რად ჭირდება ერს წარსუ-ლის მაგალითები.

კრებული უხვად აწვდის მკითხველს თარგმანებს, ისინი ადასტურებენ პედაგოგ ავტორთა ღრმა და მრავალმხრივ განათლებას, ენების ცოდნას, ზნეობრივ პრინციპების თაყვანისცემას და ერთგულებას. ცდის 1889 წლის I წიგნში გამოქვეყნებულია მირამონის „და-ძმის“ პ. კვიცარიძისეული თარგმანი და ე. შპილმანის „დონპედრო კასტილიელის“ ეფრო კლდიაშვილის თარგმანი, ცდის 1890 წლის II წიგნში - ჰომეროსის „ილიადას“ ფაზელისეული თარგმანი, ხოლო ცდის 1891 წლის III წიგნში შექსპირის „მეფე ციმბელენის“ სამსონ ყიფიანისეული თარგმანი და სხვა.

ამგვარი მასალა ცხადყოფს, რომ „ცდის“ ავტორები განათლებას განიხილავდნენ არა მხოლოდ, როგორც სკოლის ფარგლებში მიღებულ ცოდნას, არამედ, როგორც კულტურულ პროცესს, რომელიც მოიცავს ლიტერატურის, ისტორიის, თარგმანისა და ეროვნული მემკვიდრეობის გააზრებას.

დასკვნა

- ალმანახი „ცდა“ (ბიბლიოგრაფიულ იშვიათობა) წარმოადგენს მნიშვნელოვან, თუმცა ჯერ კიდევ არასაკმარისად შესწავლილ წყაროს XIX საუკუნის მიწურულის ქართული პედაგოგიური აზრისა და ეროვნული განათლების ისტორიისათვის.
- ალმანახ „ცდის“ პუბლიკაციები ქმნის ერთიან ისტორიულ-პედაგოგიურ სურათს, რომელშიც განათლება, ეროვნული თვითშეფასება, ზნეობრივი აღზრდა, ისტორიული მეხსიერება და კულტურული თვითმყოფადობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული.
- კრებულში ისტორიული წარსული გამოყენებულია ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად, მხატვრული ნაწარმოებები - ზნეობრივი ღირებულებების დასამ-კვიდრებლად, პედაგოგიური წერილები - არსებული სასკოლო სისტემის პრობლემების წარმოსაჩენად, თარგმანები და კულტურულ-ისტორიული მასალები კი - მკითხველის ინტელექტუალური და კულტურული ჰორიზონტის გასაფართოებლად.
- კრებულის ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგი იყო, რომელთა საგანმანათლებლო, საზოგადოებრივი და ლიტერატურული საქმიანობა არა მხოლოდ პროფესიულ მოვალეობას, არამედ ერისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობასაც გამოხატავდა.
- ალმანახი რუსული მმართველობის ცენზურის პირობებში მოქმედებს ირიბი ენით და იშვიათად სცილდება იდეალიზებულ ნარატივს. მისი რეალური გავლენის მასშტაბი და სხვა თანამედროვე გამოცემებთან ურთიერთმიმართება შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს.
- ალმანახ „ცდის“ მნიშვნელობა ცალკეული პედაგოგების საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმოჩენით არ შემოიფარგლება იგი ასახავს იმდროინდელი

ქართული ინტელექტუალური წრის მცდელობას, განათლება დააკავშიროს ეროვნული კულტურის შენარჩუნებასთან, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებასთან და ქვეყნის მომავალთან. ამ თვალსაზრისით, ალმანახი წარმოგვიდგება, როგორც პედაგოგიური აზრისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთკავშირის ამსახველი გამოცემა.

- ალმანახი „ცდა“ მნიშვნელოვანი ისტორიულ-პედაგოგიური წყაროა XIX ს-ის მიწურულის ქართული პედაგოგიური აზრის, ეროვნული განათლებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების შესასწავლად. იგი კონკრეტული ისტორიული მომენტის დოკუმენტია, რომელიც წარმოაჩენს რუსული მმართველობის პირობებში ქართული პედაგოგიური აზრის მიღწევებსა და მის შეზღუდვებს.

ლიტერატურა:

1. **ახვლედიანი, მ. ქუთაისის ქართული სკოლა გიმნაზია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. ქუთაისი, 2009.**
2. **ცდა.** 1889. *წიგნი I.* ქუთაისი: თავად პეტრე წულუკიძის სტამბა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385135
3. **ცდა.** 1890. *წიგნი II.* ქუთაისი: თავად პეტრე წულუკიძის სტამბა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექცია. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385137
4. **ცდა.** 1891. *წიგნი III.* ქუთაისი: დ. დ. ღამბაშიძის სტამბა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კოლექცია. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/385141

Maia Akhvlediani, Imer Basiladze, Sophio Moralishvili
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
e-mail: maia.akhvlediani@atsu.edu.ge
imer.basiladze@atsu.edu.ge
ophio.moralishvili@atsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.18
SJIF 2026: 8.6798

The Almanac „Tsda“ in the Context of Georgian Pedagogical Thought and National Education in the Late XIX Century

Abstract

The article examines the historical and pedagogical significance of the almanac “Tsda” in the Georgian educational context of the late XIX century. Its aim is to highlight the contribution of the teachers of the Kutaisi Noble School to the development of Georgian pedagogical thought, based on materials published in the almanac. The article analyzes historical, literary, pedagogical, and translation materials published in the almanac between 1889 and 1891. Their examination enables us to identify the almanac’s educational and social purpose and to explore how educational activities were connected with the development of national culture and public consciousness. The study demonstrates that the almanac “Tsda” viewed education not merely as a means of transmitting knowledge, but also as an important means of fostering national self-awareness, historical memory, and moral values. Thus, the almanac represents an important historical and pedagogical source for studying Georgian education and pedagogical thought in the late XIX century.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა